ტრანზიტულ მდინარეთა წყლის რესურსების მართვის ზოგიერთი საკითხი მდინარე მტკვრის მაგალითზე

ომარ კოლოტაური

ელ-ფოსტა: omar.kolotauri538@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

წყლის რესურსების მართვა მეტად რთული საკითხია, განსაკუთრებით პრობლემური ხდება იმ შემთხვევაში თუკი საქმე ეხება ტრანზიტულ მდინარეებს. მდინარე მტკვარი ტრანზიტული მდინარეა, რომელის აუზს უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი და მისი წყლის რესურსებზე დამოკიდებულია ქვეყნის სტრატეგიული წყალსამეურნეო სისტემები.

სამაგისტრო ნაშრომში განხილული გვაქვს ცალკეულ კვეთებში და მდინარეთა აუზების დონეზე ჩამონადენის რაოდენობრივი მახასიათებლები, შედარებულია მათი წვლილი მთლიან წყლის რესურსებთან. ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ თუ რა გავლენას მოახდენს აუზის ცალკეულ ნაწილებში წყლის რესურსების ათვისება მთლიან ჩამონადენთან.

ბუნებრივია ქვეყნის განვითარება მოითხოვს წყლის რესურსების კიდევ უფრო ინტენსიურ გამოყენებას, მაგრამ ამ საკითების გადაწყვეტა უნდა მოხდეს მაქსიმალური სიფრთხილით ტრანზიტულ მდინარეთა აუზის ყველა მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით.